186
1989/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 8 მაისი — ივნისი 1989 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

38. უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) მოსწავლეთათვის სავალდებულო სამხედრო გაწვევის გადავადებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ვადებისა და წესის შესახებ.
39. აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
40. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 იანვრის № 13 დადგენილებასთან დაკავშირებით აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
41. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
42. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 27 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

44. „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში“ დამატებათა შეტანის თაობაზე.

45. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46. საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

47. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

48. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

49. სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგისათვის“ გ. გ. ელიავას სახელის მიკუთვნების შესახებ.

50. საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების“ წესდების დამტკიცების შესახებ.

51. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 თებერვლის № 190 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

52. ო. ვ. თაქთაქიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

54. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ლ. ცაგარელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

55. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლისათვის ლ. მ. იოსელიანის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

57. ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ.

19986

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

38 უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) მოსწავლეთათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ვადებისა და წესის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის აო, საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წ. 31 მარტის № 285 თანდართული დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) მოსწავლეთათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ვადებისა და წესის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 8 მაისი, № 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 285

1989 წლის 31 მარტი

მოსკოვი, კრემლი

უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) მოსწავლეთათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ვადებისა და წესის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. 1989 წლის 1 იანვრიდან დაწყებული სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა გადაედოთ სწავლის გასაგრძელებლად ყველა უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) სტუდენტებს, ასევე საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების (დასწრებულის) მოსწავლეებს, რომლებიც მეცადინეობენ თადარიგის ოფიცრების მოსამზადებელი პროგრამით.

აღნიშნული ღონისძიება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული არიან 1989 წლის 1 იანვრამდე.

2. მიენიჭოს თადარიგის ოფიცრის წოდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუვლელად უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც გაიარეს სწავლება სამხედრო კათედრებზე და ციკლებზე, სასწავლო შეკრებები ჯარში (ფლოტში) და ჩააბარეს დაწესებული გამოცდები სამხედრო მომზადებაში.

3. დაწესდეს, რომ იმ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადება, რომელთაც გაიარეს სავალდებულო ვადიანი სამხედრო სამსახური სასწავლებელში შესვლამდე, ტარდება სამხედრო კათედრებსა და ციკლებზე შემოკლებული სასწავლო პროგრამებით.

4. დაევალოს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სსრ კავშირის განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან ერთად შეიტანოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში თადარიგის ოფიცრების მომზადების სისტემის გასაუმჯობესებლად, სამხედრო კათედრების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად. უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოს, რომ სამხედრო სწავლების პროფილი რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს მისაღებ სამოქალაქო სპეციალობას.

5. გაწვეულ იქნენ დადგენილი წესით სავალდებულო სამხედრო სამსახურში ერთი წლის ვადით უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომელთაც არ გაუვლიათ სამსახური საბჭოთა არმიაში, მომზადება სამხედრო კათედრაზე ან ატესტაცია თადარიგის ოფიცერთა შემადგენლობისათვის.

აღნიშნულ პირებს, რომლებმაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების წინ წარმატებით ჩააბარეს დაწესებული გამოცდები, თადარიგში დათხოვნის დროს მიენიჭოს ოფიცრის წოდება. ატესტაციის წესს ადგენს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო.

6. საიდუმლოდ.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

39 აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით და „აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 28 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 28 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

მე-2 და მე-9 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 728 დადგენილებისა „სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 თებერვლის № 74 დადგენილებით;

მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-10 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 დეკემბრის № 1043 დადგენილებისა „კარტოფილის სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 მარტის № 188 დადგენილებით;

მე-14 პუნქტი და 23-ე პუნქტის მესამე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 7 ივნისის № 607 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 ნოემბრის № 711 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯიოანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 6 მაისი, № 246

ერთიანი
დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის № 246 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 31 მაისის № 590 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის (1949-1951 წლები) შესახებ“.

2. I განაყოფის მე-9 და მე-15 პუნქტები და III განაყოფის მე-2 და მე-6 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 27 ნოემბრის № 1615 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1953-1955 წლებში კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

3. I განაყოფის მე-8 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები და VII განაყოფის მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 დეკემბრის № 1698 დადგენილება „რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების ჩატარების შესახებ“.

5. მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 ივნისის № 540 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და მათი რენტაბელობის ამაღლების შესახებ“.

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 15 მარტის № 142 დადგენილება „ტყავნედლეულის დამზადების გაუმჯობესებისა და მისი ხარისხის ამაღლების ზომების შესახებ“.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილება „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1956-1957 წლების გეგმის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 თებერვლის № 61 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმის გაუმჯობესებისა და მათი წარმოება-დამზადების გადიდებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 იანვრის № 96 დადგენილება)".

9. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 311 დადგენილებისა „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ".

10. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ივლისის № 406 დადგენილება „ყურძნის, ხილისა და კენკრის წარმოება-დამზადების გადიდების შესახებ".

11. მე-6 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 22 აპრილის № 275 დადგენილებისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე".

12. მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი (სიტყვებამდე: „ამასთან ერთად განავითარონ..."), მე-11 პუნქტი, მე-18 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, მე-20 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, მე-5, მე-13 და მე-14 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აპრილის № 297 დადგენილებისა „კარტოფილისა, სიმინდისა, ბოსტნეულისა, ხილისა და ყურძნისაგან დამზადებული კვების პროდუქტების წარმოების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტების ვაჭრობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ".

13. 1-ლი — მე-4 პუნქტები, მე-6 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები და მე-12 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივლისის № 529 დადგენილებისა „მარცვლეული, ზეთოვანი კულტურების და ბალახთა მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ".

14. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 94 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციისა და სოფლის მეურნეობაში მშენებლობის რესპუბლიკური გაერთიანების („საქსოფლტექნიკის") შექმნის შესახებ".

15. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 174 დადგენილება „[illegible] საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“.

16. მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 555 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზის მოპოვებისა და თევზის პროდუქციის წარმოების გადიდების ზომების შესახებ“.

17. მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-10 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 აპრილის № 270 დადგენილებისა „საქართველოს სსრ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარეუბნის ზონებში კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების გადიდების შესახებ“.

18. 1-ლი, მე-6 და მე-16 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობის ზომების შესახებ“.

19. მე-9, მე-18, 28-ე პუნქტები და 31-ე პუნქტის მეორე აბზაცის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 617 დადგენილებისა „კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების სამრეწველო საფუძველზე მოწყობის შესახებ“.

20. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 აპრილის № 215 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებისადმი ხელმძღვანელობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლის გაძლიერების შესახებ“.

21. 41-ე და 42-ე პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს № 488 დადგენილებისა „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“.

22. მე-6 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-20 პუნქტი და 32-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 376 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

23. მე-18 პუნქტის მეხუთე აბზაცი და 25-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“.

24. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 თებერვლის № 70 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

25. 1-ლი პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 მარტის № 167 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 დეკემბრის № 996 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 617 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

26. მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 201 დადგენილებისა „მარცვლეული კულტურების სამეურნეობათაშორისო სადაზღვევო სათესლე ფონდების შექმნის შესახებ“.

27. მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 203 დადგენილებისა „კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების, დამზადების გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

28. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 მაისის № 267 დადგენილება „ბოცვრის ხორცის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გადიდების შესახებ“.

29. მე-5, მე-6 პუნქტები და მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 25 აგვისტოს № 466 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

30. მე-3 და მე-14 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 მაისის № 278 დადგენილებისა „სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განვითარების შესახებ“.

31. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 დეკემბრის № 599 დადგენილება „კვების მრეწველობის იმ დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებას ეწევიან“.

32. 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 657 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

33. მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-7, მე-8 და მე-12 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 310 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

34. 1-ლი, მე-2 პუნქტები და მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 12 მარტის № 165 დადგენილებისა „რძისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სხვა პროდუქციის შესასყიდი ფასების შესახებ“.

35. მე-2, მე-6, მე-7 პუნქტები და მე-12 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 27 ივლისის № 571 დადგენილებისა „მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანის დროს დანაკარგების შემცირების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

36. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 ივნისის № 552 დადგენილება „1976 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

37. მე-4 პუნქტის მესამე აბზაცი და 22-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველი და მესამე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 დეკემბრის № 894 დადგენილებისა „1976-1980 წლებში მიწების მელიორაციის გეგმისა და მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

38. მე-12 პუნქტის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 დეკემბრის № 900 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და წარმოებასთან მისი კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

39. 1-ლი პუნქტის „ე“, „ვ“ ქვეპუნქტები და „ზ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი, მე-10 პუნქტის მეშვიდე აბზაცი, მე-13 და მე-15 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აპრილის № 333 დადგენილებისა „რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული, სამარცვლე პარკოსანი, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახების სელექციისა და მეთესლეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

40. მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 მარტის № 189 დადგენილებისა „სოიის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

41. მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-6 პუნქტი და მე-9 პუნქტის მეექვსე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მი-

ნისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ოქტომბრის № 654 დადგენილებისა „მეცხოველეობაში სანაშენო საქმის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

42. მე-14 და მე-15 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ოქტომბრის № 660 დადგენილებისა „1978-1985 წლებში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

43. მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 სექტემბრის № 574 დადგენილებისა „1978-1985 წლების მანძილზე საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში კომბინირებული საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ“.

44. მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი, მე-3 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 28 დეკემბრის № 768 დადგენილებისა „რძის, ცხვრისა და თხის, კარტოფილისა და ცალკეულ სახეობათა ბოსტნეულის შესასყიდი ფასების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების 1-ლი პუნქტი რძისა და ნაღების შესასყიდი ფასების, მათი ფასდანამატისა და ფასდაკლების ნაწილში.

45. მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 4 სექტემბრის № 629 დადგენილებისა „მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების განვითარებისა და გამოყენების გაუმჯობესების და ამ დარგში მეცნიერული კვლევის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

46. 22-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 27 მაისის № 478 დადგენილებისა „1980 წელს უხეში და წვნიანი საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

47. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 3 აპრილის № 241 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ხილბოსტნეულის პროდუქციის, ყურძნის, ციტრუსებისა და კარტოფილის წარმოების, დამზადების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

48. მე-13 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-17 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებისა „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

49. მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეთოთხმეტე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 1 სექტემბრის № 650 დადგენილებისა „1981-1985 წლებში რესპუბლიკის აგროქიმიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

50. მე-12 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 6 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „პურისა და პურფუნთუშეულის უფრო ეკონომიურად ხარჯვის ღონისძიებათა შესახებ".

51. მე-8 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 14 სექტემბრის № 657 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და მათი ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

52. „სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების მომატებისა და დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატების შემოღების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 839 დადგენილების № 1 დანართის ფასების ცხრილი (შენიშვნების გარეშე) მზესუმზირასა და სოიის შესასყიდი ფასების ნაწილში.

53. 1-ლი პუნქტის პირველი, მეორე და მეოთხე აბზაცები და მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 26 ივლისის № 522 დადგენილებისა „რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის და საკოლმეურნეო ბაზრებზე ხილბოსტნეულის პროდუქციის გაყიდვის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

54. 1-ლი პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 დეკემბრის № 815 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 738 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

55. 23-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 2 აპრილის № 247 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სასურსათო ფონდის მყარი ზრდის მიზნით რესპუბლიკაში მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 იანვრის № 13 დადგენილებასთან დაკავშირებით აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 იანვრის № 13 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 6 მაისი, № 247

1940

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის
№ 247 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 7 ივნისის № 711 დადგენილება „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცხენსაშენებისა და ჯორსაშენის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 27 სექტემბრის № 876 დადგენილება „1946 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის გამოყენების გეგმის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 21 დეკემბრის № 1191 დადგენილება „შორეული პუნქტებიდან მარცვლის გამოზიდვის მიმდინარეობის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 მარტის № 226 დადგენილება „თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის დამზადების კონტრაქტაციის 1948 წლის გეგმის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 26 თებერვლის № 224 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 4 მარტის № 265 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის წარმოების შემდგომი განვითარებისა და ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 27 მაისის № 561 დადგენილება „1949 წელს სატყეო-კულტურულ სამუშაოთა ჩასატარებლად მუშების შეგროვების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 8 აპრილის № 390 დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველ-კარაქის მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებებისა და კარაქისა და ყველის წარმოების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 11 აგვისტოს № 1024 დადგენილება „კოლმეურნეობებში თივის თიბვისა და საკვების დასილოსების ხაზით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“.

10. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 26 იანვრის № 94 დადგენილებისა „1951 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნავთის პროდუქტების შეტანის შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 21 მარტის № 346 დადგენილება „საქართველოში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შასახებ“.

12. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 მარტის № 124 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

13. მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-5 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-13, მე-14 და მე-17 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 69 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სს რესპუბლიკის თანამშრომლობის პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა ფორმების ეფექტიანობის ამაღლების, საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკის ავტორიტეტის განმტკიცების, საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს როლის გადიდების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააქტიუროს მუშაობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის ყველა ფორმის განვითარებისათვის, კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის, ჰუმანიტარული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობის პოლიტიკური და დიპლომატიური უზრუნველყოფა, ამ დარგში რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია.

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ (დანართი № 1).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ., 6 მაისი, № 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის № 249 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

2. სამინისტრო შედის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, რომელიც ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობისადმი უცხოეთის სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის საკითხებში და უწევს მას სათანადო დახმარებას მუშაობაში.

3. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო მონაწილეობს რესპუბლიკის საზღვარგარეთთან ურთიერთობის დარგში პარტიისა და მთავრობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

სამინისტრო ახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და დახმარებას უწევს მათ საგარეო პოლიტიკის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობის საკითხთა შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

4. თავის საქმიანობაში სამინისტრო ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპებით, სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საბჭოთა კავშირის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

II. სამინისტროს ძირითადი ამოცანები

5. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო ასრულებს შემდეგ ამოცანას:

ა) უზრუნველყოფს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა, რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მითითებათა შესრულებას;

ბ) შეიმუშავებს და წარადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსახილველად წინადადებებს, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების საკითხებზე;

გ) მხარს უჭერს, თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში, ურთიერთობას უცხოეთის სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში;

დ) იცავს საქართველოს სს რესპუბლიკისა და მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს, აგრეთვე იურიდიულ პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს იმ საკითხებში, რომლებიც საზღვარგარეთთთან ურთიერთობას შეეხება;

ე) უზრუნველყოფს და აქტიურად მონაწილეობს, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ურთიერთმოქმედებით, „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულ რეალიზაციაში, საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში რესპუბლიკის მონაწილეობის ჩათვლით, საერთაშორისო კონფერენციების, თათბირების, სიმპოზიუმების, გამოფენების, ფესტივალების, სემინარებისა და სხვა ფორუმების ჩატარებაში.

III. სამინისტროს ფუნქციები

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

6. საერთო საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის სფეროში:

— ახორციელებს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და სხვა დარგებში უცხოეთის სახელმწიფოებთან რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკურ და დიპლომატიურ უზრუნველყოფას; უწევს რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებს საჭირო დახმარებას მათ მიერ, შესაძლებლობათა არსებობისას, პირდაპირი ურთიერთობის განხორციელებაში საზღვრისპირა ვაჭრობის, სატრანზიტო ტვირთზიდვის, წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების, ერთობლივ საწარმოთა შექმნის ხაზით და სხვ.; სხვა უწყებებთან ერთად იღებს ზომებს უცხოელ კონტრაგენტებთან თანამშრომლობის სახალხო-სამეურნეო უკუგების დონის ასამაღლებლად;

— საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული წარმომადგენლობებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით უწევს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მის თანამდებობის პირებსა და მოქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეებს დახმარებას საზღვარგარეთის დაწესებულებებთან, მათ თანამშრომლობის პირებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან ურთიერთობის განხორციელებაში; უკავშირდება სსრ კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებსა და საკონსულო დაწესებულებებს საქართველოს სსრ საგარეო ურთიერთობის, საოქმო, საკონსულო და სხვა საკითხებში, საჭიროების კვალობაზე ახორციელებს მიმოწერას მათთან, აგრეთვე დაწესებულებებთან, სახელმწიფო, პოლიტიკურ, საზოგადო მოღვაწეებთან და კერძო პირებთან საზღვარგარეთ;

— მონაწილეობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციათა პროექტების განხორციელებაში;

— საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდის რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს, მის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებზე, უცხოეთის სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებზე, კონსულტაციას უწევს მათ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან რესპუბლიკის თანამშრომლობის, საოქმო, საკონსულო და სხვა საერთაშორისო პრაქტიკის საკითხებში; მთელ ამ მუშაობაში რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს და ხელმძღვანელობს ცნობებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით, რომლებსაც სისტემატურად უგზავნიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებები და სამმართველოები;

— უწევს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას საზღვარგარეთთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხებში და ნერგავს ამ მიზნით რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საგარეო ურთიერთობის სამმართველოთა და განყოფილებათა ხელმძღვანელებთან და მუშაკებთან სისტემატური საინსტრუქციო თათბირების ჩატარების პრაქტიკას; საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვს სამინისტროებსა და უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს (როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო დაქვემდებარებისა) ცნობებსა და მასალებს, რომლებიც აინტერესებს სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დასადებად რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაობაში; თვალყურს ადევნებს, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული, აგრეთვე რესპუბლიკის სახელით მიღებული ვალდებულებანი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ შეეხება რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს; აფორმებს რესპუბლიკის მონაწილეობას საერთაშორისო-სახელშეკრულებო ურთიერთობაში (ხელმოწერა, რატიფიკაცია, შეერთება და სხვ.); აღრიცხავს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთა მონაწილეა რესპუბლიკა, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და წარუდგენს რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს კრებსით მონაცემებს მათი შესრულების შესახებ;

— იღებს ზომებს იმისათვის, რათა რესპუბლიკაში განუხრელად იქნეს დაცული საგარეო ურთიერთობასთან დაკავშირებული საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის ბრძანებულებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, განზოგადდეს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროსთან დაკავშირებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკა და შემუშავდეს წინადადებანი მათი შემდგომი სრულყოფის შესახებ;

— ეხმარება და ხელს უწყობს რესპუბლიკის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან დელეგაციების გაცვლის ორგანიზაციაში;

— სწავლობს უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა გეოგრაფიულად რესპუბლიკის მახლობელი სახელმწიფოების, აგრეთვე იმ ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობას, საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომლებთანაც მას აქვს ყველაზე უფრო განვითარებული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობა; აანალიზებს საერთაშორისო, სამთავრობათაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას;

— კრებს საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის დაწესებულებებში მომუშავე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენლებისაგან მიღებულ ცნობებს საზღვარგარეთ ემიგრანტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციას უწევს მუშაობას მათთან, ამზადებს საანალიზო დოკუმენტებსა და წინადადებებს ამ საკითხზე; კონტაქტებს ამყარებს ემიგრანტულ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან და ცალკეულ ემიგრანტებთან, დახმარებას უწევს მათ რესპუბლიკასთან როგორც კულტურული, ისე ურთიერთხელსაყრელი საქმიანი კავშირის განხორციელებაში;

— თანამშრომლობს რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან მათს მუშაობაში საზღვარგარეთის ქვეყნების ფირმების წარმომადგენლებთან, უცხოელ მეზღვაურებთან, სტუდენტებთან, აგრეთვე რეპატრიანტებთან, რეემიგრანტებთან, პოლიტემიგრანტებთან და სხვა კატეგორიათა უცხოელებთან;

— მონაწილეობს საზღვარგარეთ სამუშაოდ მისავლინებელ სპეციალისტთა რესპუბლიკური რეზერვის შერჩევის, მომზადებისა და გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში;

— რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დაჩქარებული განვითარების პრიორიტეტული და დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მონაწილეობს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დარგის სპეციალისტთა მომზადების ორგანიზაციაში, აგრეთვე უცხოელ პარტნიორებთან ერთად საკონსულტაციო-საშუამავლო ფირმებისა და სხვა ანალოგიური ორგანიზაციების შექმნაში;

— უგზავნის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ ანგარიშებს სამინისტროს მუშაობის შესახებ და სხვა საინფორმაციო-საცნობარო მასალებს.

7. საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დარგში:

— კოორდინაციას უწევს და მონაწილეობს რესპუბლიკაში მიმდინარე საგარეო-პოლიტიკურ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის მიღწევებთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან უცხოელთა გაცნობიერებულ მუშაობაში; განაზოგადებს რესპუბლიკაში ამ მუშაობის დაგროვილ გამოცდილებას;

— ხელს უწყობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის დაწესებულებათა მეშვეობით მასობრივი ინფორმაციის საზღვარგარეთულ საშუალებებში საინფორმაციო-პროპაგანდისტული მასალების გასვლას რესპუბლიკის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საბჭოური ცხოვრების წესის შესახებ, აგრეთვე მასალების გავრცელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ იდეოლოგიურ ოპონენტთა ტენდენციური მიდგომის ნეიტრალიზაციას;

— უწევს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საჭირო დახმარებას სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკის საქმიანობის საკითხთა გაშუქებაში; სათანადოდ ეხმარება მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს მეგობრული ქვეყნების ეროვნული დღესასწაულების, ღირსსახსოვარი თარიღებისა და სხვა მოვლენების, რესპუბლიკაში უცხოეთის დელეგაციათა, დიპლომატთა, მეცნიერთა, კორესპონდენტთა და სხვა უცხოელ წარმომადგენელთა ყოფნის გაშუქებაში; კონსულტაციას უწევს რესპუბლიკის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოებს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებში, აწყობს პრესკონფერენციებს, ბრიფინგებსა და მუშაობას რესპუბლიკის ჟურნალისტებთან, აგრეთვე რესპუბლიკაში ჩამოსულ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან;

— მონაწილეობს რესპუბლიკის შესახებ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემის გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, რომელიც გათვალისწინებულია უცხოელთა შორის გასავრცელებლად;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს და მონაწილეობს რესპუბლიკის იმ სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა საქმიანობაში, რომლებიც ახორციელებენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურულ გაცვლას საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების არხების მეშვეობით და კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო გეგმების ფარგლებში; რეკომენდაციებს აძლევს და უწევს მათ სხვა კონკრეტულ დახმარებას საზღვარგარეთ ცალკეულ ღონისძიებათა საინფორმაციო-პროპაგანდისტულ უზრუნველყოფაში (სსრ კავშირის კომპლექსური ღონისძიებები, რესპუბლიკის დღეები, გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა და სხვ.); ხელს უწყობს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, მშვიდობის დაცვის კომიტეტსა და სხვა რესპუბლიკურ ორგანიზაციებს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ საერთაშორისო ფორუმების, გამოფენებისა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში, მათ შორის — დაძმობილებული ქალაქების ხაზით თანამშრომლობაში.

8. საქმო და საკონსულო სამსახურების ხაზით:

— წყვეტს უცხოეთის ოფიციალური დელეგაციებისა და სხვა სახელმწიფოთა ცალკეული წარმომადგენლების მიერ რესპუბლიკაში ყოფნასთან დაკავშირებით წამოჭრილ დიპლომატიური ოქმის საკითხებს, აგრეთვე ახორციელებს საქმო ღონისძიებებს (მიღება-დარბაზობანი, კინოგასინჯვები, გამოფენათა დათვალიერება და სხვ.) რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით; სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით ორგანიზაციას უწევს რესპუბლიკაში ჩამოსულ საპატიო უცხოელ სტუმართა და უცხოელ ჟურნალისტთა მიღებას;

— მონაწილეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში რესპუბლიკის ხელმძღვანელთა, მისი სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაციათა ვიზიტების მომზადებასა და ჩატარებაში;

— აკონტროლებს, კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს დიპლომატიური ოქმის დამკვიდრებული ნორმების დაცვას რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა და თანამდებობათა ურთიერთობისა და კონტაქტების განხორციელებისას მის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ წარმომადგენლებთან;

— შეიმუშავებს და დაგზავნის მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს უცხოელ სტუმართა მიღების ორგანიზაციისა და დიპლომატიური ოქმის საკითხებზე;

— დადგენილი წესით აფორმებს საპასპორტო-სავიზო დოკუმენტაციას; გასცემს დიპლომატიურ, სამსახურებრივ და საერთო-სამოქალაქო პასპორტებს და აწარმოებს ნებართვის ჩანაწერებს პირებზე, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ რესპუბლიკიდან, მათ შორის საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა ხაზით;

— ასრულებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საელჩოებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე სსრ კავშირში უცხოეთის დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით შემოსულ განაცხადებს დოკუმენტების გამოთხოვის, საჭირო ცნობების წარმოების შესახებ და ა. შ.; გამოითხოვს დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და ცალკეულ მოქალაქეთა შუამდგომლობით დოკუმენტებს საზღვარგარეთიდან;

— ალეგალურებს დადგენილი წესით დოკუმენტებსა და თანამდებობის პირთა ხელმოწერებს; აღრიცხავს საკონსულო გამოსაღებს დოკუმენტების გამოთხოვისა და გალეგალურებისათვის და შემდგომ გადასცემს შემოსულ სახსრებს სახელმწიფო ბიუჯეტში; წყვეტს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებთან, ნოტარიატთან, განათლების დონის დამოწმებასთან, საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამგზავრების ნებართვის გაფორმებასთან და ა. შ. დაკავშირებულ სხვა საკონსულო საკითხებს;

— კომპეტენტურ რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად მონაწილეობს რესპუბლიკაში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლის თაობაზე საზღვარგარეთ მცხოვრები საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეების, აგრეთვე მოქალაქეობის არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონე პირების შუამდგომლობის მიხედვით გადაწყვეტილებათა განხილვასა და მიღებაში (მათი შრომითი მოწყობის, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის და ა. შ. შესაძლებლობის გამორკვევით), სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების თაობაზე უცხოელთა შუამდგომლობის მიხედვით დასკვნების გაფორმებაში იმ შემთხვევებში, როცა მათ სურთ მუდმივად იცხოვრონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

— რესპუბლიკის სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად განიხილავს მის ტერიტორიაზე უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის საკითხებს, მათ შორის — საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების შემთხვევებს; დროულად აწვდის უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ინფორმაციას ამგვარ სამართალდარღვევათა შესახებ;

— ახორციელებს მუშაობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ უცხოეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებებთან და წარმომადგენლობებთან; აწარმოებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოთა საკონსულო და სხვა დაწესებულებების პერსონალის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; თვალყურს ადევნებს მათს საქმიანობას; კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის წარმომადგენლობათა, აგრეთვე მათ თანამშრომელთა დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტების დაცვას;

— შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციების მეშვეობით ხელს უწყობს უცხოეთის სახელმწიფოთა საკონსულოებისა და სხვა დაწესებულებების, აგრეთვე მათი ცალკეული წარმომადგენლებისა და უცხოეთის დელეგაციების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას;

— საჭირო დახმარებას უწევს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე; შეაქვს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსახილველად წინადადებანი დიპლომატიურ წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ.

9. საორგანიზაციო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა დარგში:

— აწარმოებს მომსვლელთა მიღებას, რომელთაც სურთ მიიღონ ცნობა, ახსნა-განმარტება ან გადასცენ სიტყვიერი ან წერილობითი წინადადებანი, განცხადებანი და საჩივრები, რომელთა განხილვა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება; ორგანიზაციას უწევს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ყურადღებით განხილვას და უზრუნველყოფს დროულ პასუხს ამ მიმართვებზე;

— ნერგავს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მათ შორის ინფორმაციის სამსახურის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპებს;

— წყვეტს სამინისტროს ფინანსთა, ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების, შინაგან ქვედანაყოფთა საფინანსო და სამეურნეო მუშაობის კონტროლისა და რევიზიის განხორციელების საკითხებს;

— იღებს ზომებს სამინისტროს აპარატის საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების დასაცავად; უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას;

— განავითარებს დემოკრატიულ საწყისებს სამინისტროს საქმიანობაში; პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით ქმნის სამინისტროს მუშაკთათვის საჭირო საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

IV. სამინისტროს მუშაობის ორგანიზაცია და მისი სტრუქტურა

10. სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა განხორციელებისათვის; აწესებს მინისტრის მოადგილეთა, სამინისტროს სტრუქტურული და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ცალკეული სფეროების ხელმძღვანელობისათვის.

11. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი:

ა) წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებებს სამინისტროს საქმიანობის საკითხებზე;

ბ) იღებს რესპუბლიკაში ჩამოსულ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლებს, აწყობს მათთვის საოქმო და სხვა ღონისძიებებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მითითებებს აძლევს სამინისტროს ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, ორგანიზაციას უწევს მათს მუშაობას;

დ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის მუშაობას;

ე) ამტკიცებს სამინისტროს აპარატის განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებებს, ამასთან განსაზღვრავს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს;

ვ) ამტკიცებს სამინისტროს მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს შრომის ანაზღაურების დაწესებული ფონდის ფარგლებში თანამდებობრივი სარგოების სქემის თანახმად;

ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დადგენილი წესით სამინისტროს მუშაკებს;

თ) შუამდგომლობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე სამინისტროს თანამშრომელთათვის დიპლომატიური რანგების მიკუთვნების შესახებ. შეაქვს წინადადებანი დიპლომატიური კადრების როტაციის წესით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის დაწესებულებებში სამუშაოდ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მივლინების შესახებ;

ი) არსებული წესების თანახმად წარადგენს სამინისტროს მუშაკებს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ჯილდოებითა და წარჩინების ნიშნებით დასაჯილდოებლად;

კ) გამოსცემს, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონთა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებათა და დავალებათა საფუძველზე და შესასრულებლად და კონტროლს უწევს მათს შესრულებას (საჭირო შემთხვევებში ბრძანებები და ინსტრუქციები გამოიცემა რესპუბლიკის სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად);

ლ) იღებს ზომებს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკთა მიერ სამინისტროს შრომის შინაგანაწესის, შრომის დისციპლინის, კომუნისტური მორალის ნორმების დასაცავად;

მ) პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროს კოლექტივში საქმიანი, შემოქმედებითი ვითარების დაცვის, თანამშრომელთა პროფესიული ოსტატობის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მათში ინიციატივისა და მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების უზრუნველსაყოფად; პერსონალურად აგებს პასუხს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების შერჩევის, აღზრდის, განაწილებისა და გამოყენების ლენინური ნორმების დაცვისადმი; ეკისრება პასუხისმგებლობა მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვისათვის.

12. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მინისტრის წარდგენით. მინისტრის მოადგილეები წარმართავენ და აკონტროლებენ, მოვალეობათა დამტკიცებული განაწილების შესაბამისად, სამინისტროს განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობას. მინისტრს შეუძლია დაავალოს მოადგილეს ცალკეული, უშუალოდ მის კომპეტენციაში შემავალი, ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

13. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის თავმჯდომარეობით. სამინისტროს კოლეგიის რიცხოვნობასა და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს სამინისტროს ძირითადი ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საზღვარგარეთთან რესპუბლიკის ურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლების მომწიფებულ საკითხებს, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, ყველაზე მნიშვნელოვან ბრძანებათა და ინს-

ტრუქციათა პროექტებს, ისმენს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა თანხმობითა და თხოვნით კოლეგია განიხილავს მათ საგარეო ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკეულ საკითხებზე კოორდინირებულ რეკომენდაციათა მიღების მიზნით.

14. საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებზე, საერთაშორისო ურთიერთობის თემატიკის კვლევისა და ანალიზის, ეკონომიკის, სამართლისა და სხვა დარგებში წინადადებათა მოსამზადებლად და კონსულტაციების ჩასატარებლად სამინისტროს შეუძლია შექმნას მეცნიერთა, სპეციალისტ-პრაქტიკოსთა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა და სხვათა საკონსულტაციო ჯგუფები.

15. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამინისტროს აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველო.

16. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმართავს თავის მუშაობას მისთვის დაკისრებული ამოცანების განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, ამასთან აწესებს თანამდებობის პირთა პერსონალურ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე არსებული მდგომარეობისა და კონკრეტულ დავალებათა შესრულებისათვის.

17. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები მოვალენი არიან ყოველმხრივ და უცილობლივ უზრუნველყონ თავიანთ უბნებზე დასახული ამოცანების შესრულება, განუხრელად აამაღლონ დიპლომატიური სამსახურის ეფექტიანობა, მიაღწიონ იმას, რომ იგი სრულად შეესაბამებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის ახლანდელ კურსს.

18. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ თანამშრომელთა მიერ სამსახურის გავლას განსაზღვრავს დებულება სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ მუშაკთა მიერ საქმისახურის გავლის შესახებ.

19. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს და მის საკონსულო განყოფილებას აქვთ ბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მათი დასახელება.

---

42 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 48-ე პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

II. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

1) მე-2 პუნქტი, მე-4 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები, მე-14 პუნქტის პირველი აბზაცი, 21-ე და 23-ე პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1961 წლის 25 ივლისის № 484 დადგენილებით, აგრეთვე ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5, მე-6 და მე-19 პუნქტები (ბრუცელოზიანი პირუტყვის მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა სატარიფო განაკვეთების (სარგოების) გადიდების ნაწილში) სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილ მუშაკთა მიმართ;

2) სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 257 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ტრესტების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ (გარდა მე-5 პუნქტისა), რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 255 დადგენილებით;

3) მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილებისა „სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 ოქტომბრის № 516 დადგენილებით;

4) 1-ლი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1970 წლის 2 აპრილის № 227 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 15 აპრილის № 198 დადგენილებით, აგრეთვე ზემოაღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი ფასდებათა გაანგარიშებისათვის სატარიფო განაკვეთის ოდენობის ნაწილში და ამ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი ზემდგომი ორგანიზაციების მიერ წარმოების ნორმების დამტკიცების ნაწილში;

5) მე-2 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1971 წლის 14 აპრილის № 222 დადგენილებისა „მექანიზატორთა კადრების შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1971 წლის 22 ივნისის № 343 დადგენილებით;

6) მე-5 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ივნისის № 569 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და კადრების შენარჩუნების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 18 ოქტომბრის № 657 დადგენილებით;

7) 22-ე პუნქტის მეხუთე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 8 აპრილის № 728 დადგენილებისა „ქვეყანაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 22 სექტემბრის № 500 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 23 იანვრის № 87 დადგენილების მე-3 პუნქტის, მე-6 პუნქტის მეორე აბზაცისა და მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების გავრცელების ნაწილში.

III. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 15 ივნისი, № 318

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1989 წლის 15 ივნისის № 318
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა ხელფასის საკითხებზე, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში

1. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 მაისის № 359 დადგენილებისა „საექსპორტო საქონლის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 სექტემბრის № 652 დადგენილება „მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშაკთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის და ხელფასის მოწესრიგების შესახებ“.

3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 ივლისის № 566 დადგენილება „მანქანათმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ“ (მისთვის თანდართული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის № 377 დადგენილების მე-14 და მე-15 პუნქტების გარდა).

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 953 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშა-მოსამსახურეთა შვიდ და ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების დამთავრების ვადების შესახებ“.

5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აპრილის № 320 დადგენილება „თევზის მრეწველობის მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისა და მათი ხელფასის მოწესრიგების შესახებ“, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გარდა.

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აპრილის № 321 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“ (მისთვის თანდართული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 მარტის № 372 დადგენილების მეორე პუნქტის პირველი და მეხუთე პუნქტების და მე-10 პუნქტის გარდა).

7. მე-3, მე-4 პუნქტები, მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის პირველი და უკანასკნელი აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1971 წლის 20 ივლისის № 394 დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე და თბილისის მეტროპოლიტენში ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდებისა და საშუალოხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების მომატების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე კადრების შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ".

8. მე-10 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 657 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

9. მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 თებერვლის № 113 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ".

10. მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ივნისის № 490 დადგენილებისა „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

11. მე-3 პუნქტის მეხუთე, მეათე-მეთორმეტე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 21 სექტემბრის № 664 დადგენილებისა „პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის ამაღლებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე ამ დადგენილების მე-3 პუნქტის მეოთხე აბზაცი ფასდებათა გაანგარიშებისათვის სატარიფო განაკვეთის ოდენობის ნაწილში.

12. მე-3 პუნქტის მეხუთე და მეექვსე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 28 სექტემბრის № 686 დადგენილებისა „რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ".

---

43 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 27 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოოპერაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 27 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეიტანება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 იანვრის № 27 დადგენილებით:

1) შეტანილია ცვლილებანი:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 აპრილის № 220 დადგენილებით დაგზავნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 197 დადგენილებაში „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-6 პუნქტის მეორე აბზაცში ამოღებულია სიტყვები: „საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან“;

— მე-7 პუნქტის მესამე აბზაცში ამოღებულია მეორე წინადადება;

— მე-14 პუნქტის მეორე აბზაცში ამოღებულია სიტყვები: „საპროექტო კოოპერატივებს ან“;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 ივლისის № 339 დადგენილებით დაგზავნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 მარტის № 406 დადგენილებაში „საბინაო კოოპერაციის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“:

ა) მე-2 პუნქტში:

— მეორე აბზაცში სიტყვები: „შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით“ შეცვლილია სიტყვებით: „შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ, შემდეგი ფორმებით“;

— მეხუთე აბზაცი ჩაითვალა ძალადაკარგულად;

ბ) მე-3 პუნქტში:

— მეორე აბზაცში სიტყვები: „კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მოცულობასა“ შეიცვალა სიტყვებით: „კოოპერატივების განაცხადების მიხედვით საცხოვრებლის მშენებლობის მოცულობასა“;

— მესამე აბზაცს სიტყვების: „კოოპერატივების სახსრების ხარჯზე“ შემდეგ დაემატა სიტყვები: „(მათი განაცხადების მიხედვით)“;

ბ) მე-8 პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „რომლებთანაც შექმნილია საბინაო კოოპერატივები“;

გ) მე-9 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „რომლებთანაც შექმნილია კოოპერატივები“ შეიცვალა სიტყვებით: „რომლებმაც მიჰყიდეს სახლი კოოპერატივს“;

2) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

1-ლი და მე-2 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 იანვრის № 60 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 იანვრის № 45 დადგენილებით;

მე-12 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 აპრილის № 345 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა როლის ამაღლების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 311 დადგენილებით;

მე-13 პუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ოქტომბრის № 1008 დადგენილებისა „მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ამ მიწებზე სიმინდის მარცვლისა და საკვების წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 23 მარტის № 243 დადგენილებით;

1-ლი პუნქტის მეექვსე აბზაცი კოლმეურნეობების ნაწილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 4 მარტის № 175 დადგენილებისა „მზესუმზირას, სოიის, რაფსისა და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების და ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 ივნისის № 473 დადგენილებით;

მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების ნაწილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 823 დადგენილებისა „მეურნე-

ობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალური წარმოების სფეროს სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 ოქტომბრის № 551 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 6 მაისი, № 250

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის № 250 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა კოოპერაციის საკითხებზე

1. მე-9 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 5 ოქტომბრის № 932 დადგენილებისა „სოფელ ადგილების რადიოფიკაციის შემდგომი განვითარებისა და დამთავრების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მე-6 და მე-13 პუნქტები, მე-16 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 აპრილის № 274 დადგენილებისა „საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მოწყობის ზომების შესახებ“.

3. მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 952 დადგენილებისა „პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

4. მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 აგვისტოს № 589 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 იანვრის № 42 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“.

7. მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 აგვისტოს № 593 დადგენილებისა „1963—1965 წლებში მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოების განვითარებისა და სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდების შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

8. მე-4 და მე-6 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 იანვრის № 16 დადგენილებისა „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ“.

9. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 ივნისის № 384 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო ბრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“.

10. მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-9 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 493 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

11. მე-6 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 ნოემბრის № 820 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების, მექანიზატორთა კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

12. მე-5 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 მარტის № 153 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებების, ბრიგადების, ფერმებისა და წარმოების საშუალო რგოლის სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სამუშაოდ გადასვლის სტიმულირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

13. მე-7 პუნქტის მეექვსე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 სექტემბრის № 576 დადგენილებისა „სიმინდის სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

14. მე-15 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 ოქტომბრის № 755 დადგენილებისა „კვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

15. მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აპრილის № 386 დადგენილებისა „ცხიმგაცლილი რძის, დოსა და რძის შრატის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

16. მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-15 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 სექტემბრის № 744 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი კოლმეურნეობების ნაწილში.

17. მე-6 პუნქტის მეათე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 29 სექტემბრის № 697 დადგენილებისა „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

18. მე-9 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ივნისის № 444 დადგენილებისა „რესპუბლიკაში ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

19. მე-3 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 21 სექტემბრის № 664 დადგენილებისა „პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის ამაღლებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

20. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 28 სექტემბრის № 686 დადგენილებისა „რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“.

21. მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 6 ივნისის № 367 დადგენილებისა „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოთა და სარეწთა უფრო ფართო განვითარების საფუძველზე სოფლად შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

22. მე-6 პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 22 ივლისის № 534 დადგენილებისა „სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 იანვრის № 40 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე“.

23. მე-2 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 9 თებერვლის № 67 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების შემდგომი განვითარების შესახებ“ კოლმეურნეობების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

44 „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში“ დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 19895 წლის 2 სექტემბრის № 577 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი:

1. 34-ე პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ახალი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს ავღანეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან სხვა ქვეყნებში“;

„მ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „ნ“ ქვეპუნქტად.

2. 35-ე პუნქტს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) I ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც დაინვალიდდნენ ავღანეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან სხვა ქვეყნებში საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად, ანდა სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას“;

ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „ე“ ქვეპუნქტად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 მაისი, № 232

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 2 დეკემბრის № 1400 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. ნება დაერთოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს მიჰყიდონ მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან ბინები სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე შეუსახლებელი ბინები სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში. ახალაშენებული სახლების ბინები შეიძლება მიეყიდოთ პირად საკუთრებაში მოქალაქეებს დადგენილი წესით მათი შესახლების შემდეგ.

მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლების, ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ერთ ოჯახს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ერთი ბინა ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

2. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თანდართული პროექტი ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მე-8 მუხლის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინოს პროექტი ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე, 105-ე და 119-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ შემუშავებული თანდართული დებულება მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

4. დაწესდეს, რომ:

— სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში შეუსახლებელი ბინების პირად საკუთრებაში შეძენის უფლება პირველ რიგში აქვთ საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების მოწინავეებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში ან გადადგნენ ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შტატების შემცირების გამო, და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც ბინის პირველ რიგში მიცემის უფლებით სარგებლობენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოქალაქეებს ბინების ღირებულება შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილ არა უმეტეს 10 წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ თავდაპირველად შეიტანონ არანაკლებ 50 პროცენტი ბინის ღირებულებისა, რომელსაც განსაზღვრავენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები;

— სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებულ სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვით შემოსული სახსრები ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში (სოციალური სფეროს განსავითარებლად), ხოლო საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სახსრებით აშენებულ სახლებში არსებული ბინებისა — ამ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სოციალური განვითარების ფონდებში და მოხმარდება საბინაო, კომუნალურ მშენებლობას, საბინაო ფონდის რემონტსა და რეკონსტრუქციას;

— ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმში, გაგრაში, ბორჯომში, წყალტუბოში მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდული სახლის ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინის შეძენის ნება ეძლევათ მხოლოდ ამ ქალაქებში ჩაწერილ მცხოვრებთ.

უფლება მიეცეთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს დააწესონ მრავალშვილიანი (სამი და მეტი ბავშვი) და ნაკლებუზრუნველყოფილი (ოჯახის ერთ წევრზე 100 მანეთზე ნაკლები შემოსავალი) ოჯახებისათვის პირად საკუთრებაში ბინების შეძენის შეღავათები, მათ შორის იმ გზით, რომ გაადიდონ ასეთი ოჯახებისათვის ბინების ღირებულების გადახდის ხანგრძლივობა 15 წლამდე ვადით მათი გაყიდვის დოკუმენტების გაფორმების დღიდან და შეამცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა ბინის დაწესებული ღირებულების 30 პროცენტამდე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით დამტკიცებულ იმ დოკუმენტების ნუსხას, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. დოკუმენტები, რომლებითაც დადგენილი იქნება იმ მოქალაქეთა დავალიანება, რომელთაც იყიდეს სახლები ან ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში განვადებით, გადაუხდელი თანხის დასფარავად გადასახდელების მიხედვით.

სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოვალის ვალდებულების დედანი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი ვადაგასული დავალიანების თანხისა და მისი დაფარვის ვადების აღნიშვნით“.

6. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღონ გადაწყვეტილებანი პირად საკუთრებაში ბინების გაყიდვის შესახებ მოქალაქეთა ოჯახის შემადგენლობის, შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ მოქალაქეთათვის ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის ოპერატიულად გაფორმება, იმ საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის არქიტექტურულ-საგეგმარებელ დავალებათა დროულად გაცემა, რომელთა ბინები გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის მისაყიდად, ამასთან დააწესონ კონტროლი მათი განხორციელებისას სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვისადმი;

— ჩაატარონ თავიანთ ბალანსზე არსებული ერთი ან რამდენიმე ოჯახისათვის განკუთვნილი მცირესართულიანი სახლების ინვენტარიზაცია საბინაო ფონდის უკეთ შენარჩუნებისა და მისი მოვლა-შენახვისათვის იქ მცხოვრებ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით შესთავაზონ ამ მოქალაქეებს შეიძინონ ბინები პირად საკუთრებაში;

— მრავალბინიან სახლებში არსებული ბინების გაყიდვისას ხელი შეუწყონ სახლებში (ან სექციაში) არსებული ყველა ბინის გაყიდვას და ინდივიდუალურ ბინათმფლობელთა ამხანაგობების შექმნას კოლექტიური მართვისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე სახლების ეფექტიანი ექსპლუატაციისათვის საჭირო პირობების დამყარების მიზნით.

7. საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულმა არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ თავიანთ ბალანსზე საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელ შენობათა ფიზიკური ცვეთის შეფასების წესებით (სახქალაქმშენის საუწყებო სამშენებლო ნორმა 50-86რ).

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ თავიანთ ბალანსზე საბინაო ფონდი, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონე დადგენილებას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოსახლეობისათვის პირად საკუთრებაში საცხოვრებლის მიყიდვას.

9. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ ის ღონისძიებანი, რომ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს შეისყიდოს საცხოვრებელი სახლები ან ბინები პირად საკუთრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი **ლ. გაგუა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 21 ივნისი, № 311

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1989 წლის 21 ივნი-
სის № 311 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 2 დეკემბრის № 1400 დადგენილებისა და „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 22 სექტემბრის № 500 დადგენილების შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინებისა და საცხოვრებელი სახლების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების ძირითად წესებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის, მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისათვის.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიჰყიდონ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან ბინები სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში რიცხულ სახლებში, მათ შორის წინათ კონფისკებული ან მუნიციპალიზებული, ავარიული და დაძველებული, აგრეთვე შეუსახლებელი ბინები სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში. მოქალაქეთა წასვლის შემთხვევაში განთავისუფლებული ბინები, აგრეთვე ახალაშენებული სახლების ბინები შეიძლება მიეყიდოთ პირად საკუთრებაში მოქალაქეებს დადგენილი წესით მათი შესახლების შემდეგ.

იმ სახლებში არსებული ბინების გაყიდვა, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის სავალდებულო წინასწარი შეტყობინებით.

მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში ბინების მიყიდვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ერთ ოჯახს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ერთი ბინა ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინები პირად საკუთრებაში შეიძლება მიეყიდოთ მხოლოდ ოჯახის ყველა ერთად მცხოვრები სრულწლოვანი წევრის თანხმობით. მათი სურვილისამებრ ბინები შეიძლება მიეყიდოთ მათ საერთო საკუთრებაში.

3. მოქალაქეებს პირად საკუთრებაში არ შეიძლება მიეყიდოთ:

ა) ბინები, რომლებიც შეტანილია სამსახურებრივი სადგომების შემადგენლობაში;

ბ) ბინები დახურულ სამხედრო ქალაქებში არსებულ სახლებში.

4. სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში შეუსახლებელი ბინების პირად საკუთრებაში შეძენის უფლება პირველ რიგში აქვთ საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების მოწინავეებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში ან გადადგნენ ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შტატების შემცირების გამო, და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ ბინის პირველ რიგში მიცემის უფლებით.

5. ახორციელებენ რა მოქალაქეთათვის ბინების მიყიდვას მრავალბინიან სახლებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ სახლში (ან სექციაში) არსებული ყველა ბინის გაყიდვას, აგრეთვე ამ მიზნით ბინების გაცვლას და სახლებისა და ბინების ინდივიდუალურ მფლობელთა ამხანაგობების შექმნას კოლექტიური მართვისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე სახლების ეფექტიანი ექსპლუატაციის პირობების დასამყარებლად.

6. მოქალაქენი, რომელთაც სურთ შეიძინონ პირად საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები (ბინები), აგრეთვე სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში შეუსახლებელი ბინები, მიმართავენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება ისინი.

საბინაო ფონდის ზემოაღნიშნული მფლობელნი ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოფენ გასაყიდი საცხოვრებელი სახლების (ბინების) შეფასებას და მოქალაქეთათვის მათი მიყიდვის ოპერატიულად გაფორმებას.

7. გასაყიდი საცხოვრებელი სახლების ან ბინების ღირებულებას განსაზღვრავენ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საპროექტო ორგანიზაციები ამ სახლების ან ბინების მფლობელთა (სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების) შეკვეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაყიდი საცხოვრებელი სახლების ან ბინების ღირებულების განსაზღვრისას საპროექტო ორგანიზაცია ითვალისწინებს არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონაცემებს, ხოლო თუ ასეთი მონაცემები არ არსებობს, ადგენს გაზომვითს ნახაზებს, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

გასაყიდი სახლების ან ბინების შეფასების სამუშაოთა ღირებულებას ანაზღაურებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ამ სახლების ან ბინების გაყიდვით მიღებული სახსრების ხარჯზე. ამ სახსრების ნაწილი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საცხოვრებელი სახლების ან ბინების გასაყიდი ღირებულების 5 პროცენტამდე ოდენობით ჩაირიცხება აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურების ანგარიშსწორების ანგარიშზე.

გასაყიდი საცხოვრებელი სახლის (ბინის) ღირებულება გამოიანგარიშება საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მოქმედი ზონალური სახარჯთაღრიცხვო ფასების შესაბამისად სახლის საცხოვრებელი ნაწილის მშენებლობის შემდეგი დანახარჯების განსაზღვრის გზით: პირდაპირი დანახარჯები (სანიტარიული ხელსაწყოებისა და სამზარეულო მოწყობილობის დადგმის დანახარჯები და მხოლოდ სახლის ცალკეულ ბინებთან დაკავშირებული კონსტრუქციული ელემენტებისა და მოწყობილობის ღირებულების გარდა), ზედნადები ხარჯები მთელი პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების 16 პროცენტის და 5 პროცენტის ოდენობით.

ზემოაღნიშნული წესით გამოანგარიშებული სახლის ღირებულება მცირდება ძირითადი კონსტრუქციების (საძირკველი, კედლები, კიბეები, გადახურვები, საფარები, სახურავი, საინჟინრო მოწყობილობა და სხვ.) ცვეთის დაწესებული პროცენტით კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის 1986 წლის 24 დეკემბრის № 446 ბრძანებით დამტკიცებული საცხოვრებელ შენობათა ფიზიკური ცვეთის წესების (სახქალაქმშენის საუწყებო სამშენებლო ნორმა 53-86რ) შესაბამისად. თუ საცხოვრებელი სახლის ნაწილი გამოყოფილია არასაცხოვრებელი სათავსებისათვის (სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამკურნალო და ა. შ.), ამ სათავსების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ შეიტანება სახლის საცხოვრებელი ნაწილის საერთო ღირებულებაში.

ცალკე ბინის საერთო ფართობი განისაზღვრება როგორც საცხოვრებელი ოთახებისა და დამხმარე სათავსების (ჰოლი, სამზარეულო, სანკვანძები, დერეფნები, შემინული ლოჯიები — შუშაბანდები, ჩაშენებული კარადები), აგრეთვე ღია შეუმინავი ლოჯიების, აივნებისა და ტერასების ფართობის ჯამი შემდეგი მამცირებელი კოეფიციენტებით: ღია ლოჯიებისათვის — 0,5, აივნებისა და ტერასებისათვის — 0,3.

ცალკე ბინის ღირებულება განისაზღვრება სახლის საერთო ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულებიდან გამომდინარე, რასაც დაემატება

სანიტარიული ხელსაწყოებისა და სამზარეულო მოწყობილობის დადგმის დანახარჯები, აგრეთვე მხოლოდ ამ ბინასთან დაკავშირებული კონსტრუქციული ელემენტებისა და მოწყობილობის ღირებულება.

ცალკე ბინის ღირებულებაში არ შედის დადგენილი წესით დამქირავებლის სახსრების ხარჯზე ჩაშენებული სათავსების ფართობის ღირებულება, აგრეთვე მაღალხარისხოვანი შინასაბინაო საინჟინრო მოწყობილობისა და დამქირავებლის მიერ შესრულებულ მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ღირებულება.

8. საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საცხოვრებელი სახლის ან ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ფორმდება იმ კომისიის აქტით, რომელიც იქმნება სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან შემდეგი შემადგენლობით:

ა) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კუთვნილი სახლებისათვის — ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), საქალაქო (რაიონული) საფინანსო ორგანოს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საქალაქო (რაიონული) ორგანოს წარმომადგენლები და სახალხო დეპუტატი;

ბ) საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი სახლებისათვის — საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი (დირექტორი) ან მისი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი, პროფკავშირის კომიტეტისა და შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები.

კომისიას უფლება აქვს საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საცხოვრებელი სახლის (ბინის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიმართ გამოიყენოს შესწორების კოეფიციენტი 1,05-1,15 ფარგლებში, რომელიც წესდება სახლის კატეგორიის, კონსტრუქციული გადაწყვეტის, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობის დონის, რაიონის (მიკრორაიონის) ადგილმდებარეობის, კეთილმოწყობისა და ეკოლოგიის შესაბამისად.

კომისიის აქტს საცხოვრებელი სახლის ან ბინის საბოლოო გასაყიდი ღირებულების შესახებ ამტკიცებენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, საწარმო, გაერთიანება, ორგანიზაცია.

9. მოქალაქეებს შეუძლიათ სახლის ან ბინის ღირებულება გადაიხადონ ნაწილ-ნაწილ, არა უმეტეს 10 წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ თავდაპირველად შეიტანონ სახლის ან ბინის ღირებულების (გასაყიდი ფასის) არანაკლებ 50 პროცენტი. დანარჩენი თანხა მყიდველებს შეაქვთ თანაბარ ნაწილებად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში 10 წლის ფარგლებში სახლის ან ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების რეგისტრაციის შემდეგ მომდევნო თვიდან დაწყებული.

10. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებმაც მიჰყიდეს მოქალაქეებს სახლები ან ბინები, ანგარიშს უსწორებენ მათ, აღრიცხავენ ამ სახლების ან ბინების ღირებულების ასანაზღაურებლად შემოსულ სახსრებს.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები მოქალაქეებისაგან, რომლებმაც იყიდეს სახლი ან ბინა განვადებით, იღებენ ვალდებულებას, რომელიც ითვალისწინებს სახლის ან ბინის ღირებულების (გასაყიდი ფასის) დარჩენილი 50 პროცენტის გადახდას ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად.

მოქალაქეებს, რომლებმაც იყიდეს სახლი ან ბინა განვადებით, შეუძლიათ ვადამდე დაფარონ სახლის ან ბინის ვალი, აგრეთვე მთლიანად გაასწორონ ანგარიში გადასახდელის საბოლოო ვადის დადგომამდე.

გადასახდელთა მიხედვით დავალიანების გადახდევინება ხდება უდავო წესით, სანოტარო მოქმედების შემსრულებელ ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

მოვალემ, რომელმაც გადააცილა სახლის ან ბინის ღირებულების გადახდის ვადას, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის შესაბამისად უნდა გადაიხადოს გადაცილებული დროის სარგებელი ვადაგადაცილებული თანხისა წლიური 3 პროცენტი.

11. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ დააწესონ მრავალშვილიანი და ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის პირად საკუთრებაში ბინების შეძენის შეღავათები, მათ შორის იმ გზით, რომ გაადიდონ ასეთი ოჯახებისათვის სახლების ან ბინების ღირებულების გადახდის ხანგრძლივობა 15 წლამდე ვადით მათი გაყიდვის დოკუმენტების გაფორმების დღიდან და შეამცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა სახლის ან ბინის დაწესებული ღირებულების (გასაყიდი ფასის) 30 პროცენტამდე.

12. სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებული სახლების ან სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვით შემოსული სახსრები ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში (სოციალური სფეროს განსავითარებლად), ხოლო საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სახსრებით აშენებულ სახლებში არსებული ბინებისა — ამ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სოციალური განვითარების ფონდებში და მოხმარდება საბინაო, კომუნალურ მშენებლობას, საბინაო ფონდის რემონტსა და რეკონსტრუქციას.

13. საცხოვრებელი სახლების (ბინების) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი დამოწმდება ნოტარიულად და რეგისტრაციაში გატარდება 3 თვის ვადაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში.

14. ნაყიდი საცხოვრებელი სახლის ან ბინის სამართლებრივი რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საგარაკო და საკურორტო დასახლებებში ნაგებობათა რეგისტრაციის წესის შესახებ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის, აგრეთვე საარიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმებით საბინაო ფონდის რეგისტრაციის ჩატარების წესის შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური სტატის-

ტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (ხელმოაღნიშნული ნორმატიული აქტები აქვთ სახელმძღვანელოდ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ყველა ბიუროში).

15. საცხოვრებელი სახლი ან ბინა გადადის მოქალაქის პირად საკუთრებაში მას შემდეგ, რაც გადაიხდის გასაყიდ ღირებულებას ან მის ნაწილს დაწესებული შეღავათის თანახმად ნაწილ-ნაწილ ანაზღაურებისას. უკანასკნელ შემთხვევაში მოქალაქეს უფლება არა აქვს გაასხვისოს საცხოვრებელი სახლი ან ბინა (გაყიდვა, ჩუქება, გაცვლა, ანდერძით დატოვება და სხვ.) საცხოვრებელი სახლის ან ბინის მთლიანი ღირებულების გადახდამდე.

16. შეძენილი ბინის ფლობის, სარგებლობისა და გამგებლობის უფლება ხორციელდება მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ფლობის, სარგებლობისა და გამგებლობის ანალოგიურად.

17. საჩივრები მოქალაქეთა მიერ სახლების ან ბინების პირად საკუთრებაში შეძენის საკითხებზე, აგრეთვე ასეთი სახლების ან ბინების ფლობასთან, სარგებლობასა და გამგებლობასთან დაკავშირებული დავა განიხილება დადგენილი წესით.

18. პირად საკუთრებაში ნაყიდი საცხოვრებელი სახლების ან ბინების მფლობელნი სახლების (ბინების) ექსპლუატაციასა და რემონტს ახორციელებენ თავიანთ ხარჯზე, ამასთან აუცილებლად იცავენ სახლების (ბინების) ექსპლუატაციისა და რემონტის ერთიან წესებსა და ნორმებს სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლებისათვის განსაზღვრული პირობებით.

19. სახლების გათბობის, ელექტროენერგიით, გაზით, წყალმომარაგებითა და კანალიზაციით, რადიოთი, ტელეფონით უზრუნველყოფის, სახლმფლობელობათა სანიტარიული დასუფთავების, ნაგვის გატანის ხარჯები ნაზღაურდება სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული ტარიფების მიხედვით.

20. მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) მომსახურება ეკისრებათ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს ინდივიდუალურ ბინათმფლობელთა ამხანაგობებთან ან ცალკეულ მოქალაქეებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

21. მომსახურებისათვის მიღებული პირად საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური სახლების ან ბინების მომსახურება ხორციელდება სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული პირობების თანაბრად. მომსახურებას ანაზღაურებენ ბინათმფლობელები სახელშეკრულებო საწყისებზე საცხოვრებელი სახლის (ბინის) საერთო ფართობის ერთი კვადრატული მეტრის მომსახურების გაანგარიშებული თვიური განაკვეთიდან გამომდინარე (ლიფტიანი სახლებისათვის — 12 კაპიკი, ულიფტო სახლებისათვის — 7 კაპიკი).

საცხოვრებელი სახლების (ბინების) ნაგებობათა ტექნიკური ინვენტარიზაციის, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების და სარემონტო სამუშაოთა ჩატარების ხარჯებს ანაზღაურებენ საცხოვრებელი სახლების (ბინების) მფლობელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელშეკრულებო საწყისებზე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანოების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა კომპლექსში შედის:

— სახლების, ბინების კონსტრუქციული ელემენტების, საინჟინრო სისტემებისა და მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება;

— დამხმარე სათავსების დაგვა-დალაგება და მათი განათების უზრუნველყოფა, სახლისპირა ტერიტორიების სანიტარიული დასუფთავება, დაგვა-დალაგება, საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა, კვამლსადენების, სავენტილაციო არხების გაწმენდა, სათავსების დეზინფექცია და დერატიზაცია;

— სახურავიდან თოვლისა და ნაგვის ჩამოყრა, სახლებისა და მოწყობილობის მომზადება ზამთრის პერიოდში საექსპლუატაციოდ, კონტროლი ცენტრალური გათბობის სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისადმი გათბობის მთელი სეზონის განმავლობაში, რომლის ვადებს აწესებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ცხელი და ცივი წყალმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და გაზმომარაგების, კანალიზაციის სისტემების, ნაგავსატარისა და სხვა მოწყობილობის შეუფერხებელი ფუნქციონირებისადმი;

— საცხოვრებელი სახლების (ბინების) საერთო და რიგგარეშე დათვალიერებათა ჩატარება;

— სახლებისა და სახლისპირა ტერიტორიების მომზადება დღესასწაულებისათვის;

— ავარიული მომსახურება;

— სახლების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნების, აგრეთვე სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოთა მითითებების შესრულების უზრუნველყოფა;

— ჩაწერის ბარათების (საბინაო დავთრების), საანგარიშსწორებო წიგნაკების წარმოება, კონტროლი ყოველგვარ გადასახდელთა დროულად შეტანისადმი;

— ბინაში ცხოვრებისა და დაკავებული ფართობის დამადასტურებელი ცნობების, სახლში მცხოვრებთა შესახებ საჭირო მონაცემების გაცემა, მობინადრეთა ჩაწერა-ამოწერა დაგენილი წესით, რემონტის პერსპექტიული და წლიური გეგმების შემუშავება;

— სახლების (ბინების) ექსპლუატაციის გამო საბუღალტრო აღრიცხვის, საანგარიშსწორებო-ფულადი ოპერაციების, ანგარიშგების წარმოება;

— კონტროლი გეგმიანი რემონტის შესრულებისადმი და მონაწილეობა შესრულებულ სამუშაოთა მიღებაში;

— კულტურულ-აღმზრდელობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მომსახურებისათვის მიღებულ სახლებში ან ბინებში მცხოვრებ ბავშვებთან და მოზარდებთან.

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები ასრულებენ ზემოაღნიშნულ სამუშაოებს თავიანთი ძალებით სპეციალიზებული ორგანიზაციების მიზიდვით მათთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46 საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საწარმოო დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 1 მარტის № 119 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებისა „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“;

ბ) 1-ლი პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 ნოემბრის № 605 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

გ) 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 თებერვლის № 112 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ., 6 მაისი, № 214

ეროვნული ბიბლიოთეკა

47 **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 მარტის № 205 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკრგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 თებერვლის № 61 დადგენილება „მშენებლობაში და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული საშუალოხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ“, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გარდა;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 თებერვლის № 62 დადგენილება „საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების საშუალოხელფასიან მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“, მე-2 პუნქტის მეორე აბზაცის გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. პაიჭაძე

ქ. თბილისი, 1989 წ. 12 მაისი, № 228

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ., 19 მაისი, № 235

49 სსრ კავშირის სამედიცინო და მიკროგიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგი"-სათვის გ. გ. ელიავას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის" ხელმძღვანელობის შუამდგომლობა და რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგს" მიეკუთვნოს პროფესორ გ. გ. ელიავას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 19 მაისი, № 240

50 საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების“ წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 19 მაისი, № 241

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 19 მაისის № 241 დადგენილებით

საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წესდება

1. საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (შემდგომ ეწოდება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები") შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 დეკემბრის № 675 დადგენილების შესაბამისად სამეურნეო ანგარიშზე. ადგილსამყოფელი — დაბა კაზრეთი, ბოლნისის რაიონი.

2. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „კომპოზიციურ სისტემებს" აქვს შემდეგი რეკვიზიტები: საქართველოს სსრ, ქ. ბოლნისი, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის ბოლნისის განყოფილება, ანგარიშები № 36609, 61120281, 14261.

3. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები" უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების" საქმიანობის ძირითადი მიზანია შეიმუშაოს და დანერგოს სახალხო მეურნეობაში ახალი კომპოზიციური ფხვნილების წარმოების მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები გაზთერმული მეთოდებით დამცავი და განმამტკიცებელი საფარის, აგრეთვე ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდებით კომპოზიციური მასალების შესაქმნელად მრეწველობის მანქანათსაშენებელ დარგებში თანამედროვე ტექნიკის რესურსებისა და საიმედოობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

5. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „კომპოზიციურ სისტემებს" აქვს საწესდებო ფონდი, არის იურიდიული პირი და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილებით დამტკიცებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულებით, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების გათვალისწინებით.

6. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების" შემადგენლობაში შედიან კომპოზიციური სისტემებისა და დაფარვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — მთავარი სტრუქტურული ერთეული, კომპოზიციური ფხვნილების საცდელი ქარხანა და ექსპერიმენტული საამქრო. გაერთიანების ყველა სტრუქტურული ერთეული განლაგებულია საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, არა აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და არ არიან იურიდიული პირები.

7. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები", იყენებს რა მის ოპერატიულ მართვაში ან სარგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო ქონებას, ახორციელებს გაერთიანების კოლექტივის ძალებით თავის საქმიანობას საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების შესაბამისად სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. კომპოზიციური სისტემებისა და დაფარვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ განსახორციელებელი მეცნიერული გამოკვლევები ფინანსდება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

8. დაგეგმვის, დაფინანსებისა და შრომის ანაზღაურების დარგში გაერთიანებაში შემავალი ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 30 დეკემბრის № 490/171/246, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 31 დეკემბრის № 793/33-75 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 8 დეკემბრის № 572 დადგენილებებით, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1987 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული დროებითი რეკომენდაციებით.

9. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები“ აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას და წარადგენს საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ანგარიშგებას მოქმედი წესების შესაბამისად.

10. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „კომპოზიციურ სისტემებს“ სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების“ გენერალურ დირექტორს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანების მთავარ ბუღალტერსა და იურისკონსულტს ნიშნავს გენერალური დირექტორი.

11. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების“ სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესების გაერთიანების ინტერესებთან შეხამების, აგრეთვე მთლიანად გაერთიანების სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობის შედეგებისათვის გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციურ სისტემებში“ იქმნება გაერთიანების საბჭო გენერალური დირექტორის (საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილეების, გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულთა ხელმძღვანელების, გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების პერსპექტიულ და მიმდინარე პრობლემათა განსახილველად და წარმოებაში სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დიდმნიშვნელოვანი გამოგონებებისა და მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე რეკომენდაციათა შესამუშავებლად სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციურ სისტემებში" იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე — გაერთიანების გენერალური დირექტორი ან მისი მოადგილე მეცნიერების დარგში, სწავლული მდივანი და საბჭოს წევრები. გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ წამყვანი მეცნიერები და გაერთიანების პროფილით მომუშავე სხვა ორგანიზაციათა სპეციალისტები, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელი და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს წარმომადგენელი.

გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

13. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში საქართველოს კომპოზიციური სისტემებისა და მასალების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები" ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 2 დეკემბრის № 1405 დადგენილებით „სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შემდგომი განვითარების შესახებ" და 1989 წლის 7 მარტის № 203 დადგენილებით „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა შესახებ".

14. გაერთიანების მმართველობის აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს დადგენილი წესით გენერალური დირექტორი.

დებულებას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპოზიციური სისტემების" მმართველობის აპარატის განყოფილებათა შესახებ ამტკიცებს გენერალური დირექტორი. დებულებაში განყოფილებათა შესახებ განისაზღვრება მათი უფლებამოსილებანი გაერთიანების კომპეტენციის ფარგლებში.

15. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „კომპოზიციურ სისტემებს" აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია გაერთიანების დასახელება.

---

51 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 თებერვლის № 190 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 თებერვლის № 190 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 თებერვლის № 190 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 1125 დადგენილებისა „მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1984 წლის 7 თებერვლის № 61 დადგენილებით;

— მე-3 პუნქტი, მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილებისა „მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1985 წლის 13 ივნისის № 406 დადგენილებით;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილება „საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 აგვისტოს № 517 დადგენილებით, მე-14 პუნქტის გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 23 მაისი, № 257

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 6 მაისის № 257
დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 31 ოქტომბრის № 2169 დადგენილება „ხე-ტყის დამზადების მოსამზადებელ და დამხმარე სამუშაოებზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და სატარიფო განაკვეთების შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგენილებათა კრებული, 1940 წელი, № 27, მუხლი 120).

2. მე-13 და მე-14 პუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 14 მარტის № 308 დადგენილებისა „მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 ივნისის № 555 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 26 მაისის № 1740 დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, აგროუბნებსა და ზოოვეტუბნებში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ხელფასისა და დაჯილდოების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 13 ივნისის № 589 დადგენილება „1947 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახთა სათესლეების ჯიშიანი ნათესების მთლიანი აპრობაციის ჩატარების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 მარტის № 128 დადგენილება „სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 თებერვლის № 76 დადგენილება „ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის საწარმოებში და მშენებლობებზე მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“.

7. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 მაისის № 342 დადგენილებისა „ხახვისა და ნივრის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 23 მაისის № 257 დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა ხელფასის საკითხებზე, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ნაწილში

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 ოქტომბრის № 1416 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ტექნიკური კონტროლის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“.

2. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 292 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურებისა და ბალახთა მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 629 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების მე-7 პუნქტის, მე-13 პუნქტის პირველი და მერვე აბზაცებისა და მე-15 პუნქტის გარდა.

4. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 442 დადგენილებისა „საფოსტო კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

5. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 237 დადგენილებისა „მზესუმზირას თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ“.

6. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 65 დადგენილებისა „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მარტის № 170 დადგენილება „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლთა და კონდუქტორთა მუშაობის რეჟიმის შესახებ“.

8. მე-17 პუნქტის მეხუთე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 16 თებერვლის № 85 დადგენილებისა „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

9. მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 ივლისის № 470 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

10. I განაყოფის მე-7 პუნქტი და II განაყოფის მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 აგვისტოს № 572 დადგენილებისა „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 696 დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე“.

11. მე-4 პუნქტის მეორე-მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 20 აპრილის № 279 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოების მართვის დარგობრივი (საამქრო) პრინციპის დანერგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“.

12. 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 21 იანვრის № 42 დადგენილებისა „1982—1985 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოთა შემდგომი განვითარების შესახებ“ შრომის ანაზღაურების ნაწილში.

13. მე-3 პუნქტის მეთერთმეტე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 5 მარტის № 140 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სისტემის სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში კადრების დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 2 იანვრის № 5 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

52 ო. ვ. თაქთაქიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

— დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელთა და მუსიკალურ მოღვაწეთა მონაწილეობით შექმნას კომისია ო. ვ. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისათვის;

—საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად დააწესოს მუსიკოს შემსრულებელთათვის ო. ვ. თაქთაქიშვილის სახელობის კონკურსი, რომელიც გაიმართება 4 წელიწადში ერთხელ. კონკურსის ხარჯები წილობრივად გაიღონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ.

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაკვეთით მოამზადოს და გამოსცეს მონოგრაფია და სტატიების კრებული ო. ვ. თაქთაქიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ;

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი ო. ვ. თაქთაქიშვილის რჩეული ნაწარმოებების გამოსაცემად გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორის“ მიერ.

3. საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ დააწესოს ო. ვ. თაქთაქიშვილის სახელობის ორი სტიპენდია 100-100 მანეთის ოდენობით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუსიკო სასწავლებლებში სასწავლებლად წარგზავნილი წარჩინებული ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი:

— მიანიჭოთ ო. ვ. თაქთაქიშვილის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ო. ვ. თაქთაქიშვილი (რიგის ქ. № 6);

— მოაწყოს ო. ვ. თაქთაქიშვილის საფლავი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

5. გრამფირფიტების ჩამწერმა ფირმა „მელოდიამ“ 1990-1991 წლებში გამოსცეს ო. ვ. თაქთაქიშვილის რჩეული ნაწარმოებების გრამჩანაწერები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 2 ივნისი, № 270

53 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის შესახებ, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 თებერვლის № 87 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ივნისი, № 289

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 16 ივნისის № 289
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 13 თებერვლის № 87 დადგენილებით რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, საზოგადოებრივი წარმოების ძირითად რგოლში სამეურნეო მექანიზმის განვითარებისა და გაღრმავების, რესპუბლიკისა და მისი რეგიონების თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპების ფორმირებისა და რეალიზაციისათვის მუშაობის გაძლიერების მიზნით.

კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

ა) უხელმძღვანელოს მუშაობას რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დანერგვისათვის;

ბ) შეიმუშაოს რესპუბლიკის ეკონომიკის მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის შექმნის მეცნიერული საფუძვლები და წინადადებანი მისი სრულყოფის შესახებ;

გ) გააანალიზოს მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის ზემოქმედება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, დროულად შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საიმედოდ მოქმედი ხარჯვასაწინააღმდეგო სამეურნეო მექანიზმის შექმნას, მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირებაში შეუსაბამობის აღმოფხვრას;

დ) ორგანიზაცია გაუწიოს მუშაობას ავტონომიური რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპების ფორმირებისა და რეალიზაციისათვის;

ე) დაამუშაოს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე (რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ქალაქი, რაიონი) ეფექტიანი ზემოქმედების მექანიზმი;

ვ) კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, სისტემატურად გააანალიზოს ამ დარგში მათ მიერ გაწეუ-

ლი მუშაობა, განახორციელოს **მუდმივი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.**

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისია თავისი ფუნქციების შესრულებისას არ უნდა ჩაერიოს სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ოპერატიულ საქმიანობაში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და სხვა აქტებით, მათი პრეზიდიუმების ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ამზადებს ნორმატიული აქტების პროექტებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე, წინადადებებს მართვის ეკონომიკური მეთოდების ქმედითობის გაძლიერების შესახებ;

ბ) ატარებს **დადგენილი წესით** ეკონომიკურ ექსპერიმენტებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, ამზადებს წინადადებებს ეკონომიკური ექსპერიმენტების დადებითი შედეგების ფართოდ გავრცელების შესახებ;

გ) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ მომზადებულ სახალხო მეურნეობის დარგების, რესპუბლიკის დარგობრივი და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და რეგიონების მართვის გენერალური სქემების პროექტებს;

დ) ამზადებს წინადადებებს სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის, მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის **ამაღლების, ახალი ტიპის მმართველობის აპარატის ფორმირებების შესახებ.**

ე) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის შემუშავებულ ღონისძიებებს და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;

ვ) მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და კოორდინაციისათვის, აგრეთვე ახორციელებს კონტროლს ამ საკითხებზე ნორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიული და მეთოდიკური აქტების სწორად და ერთგვაროვნად [illegible]-სადმი;

ზ) განიხილავს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დარგში უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა გეგმების პროექტებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის;

თ) ორგანიზაციას უწევს სახალხო მეურნეობის მართვის სისტემისა და მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტების სრულყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული და მეთოდიკური აქტების მომზადებას და იღებს მათ თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ი) აანალიზებს და განაზოგადებს სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დარგში და ამზადებს წინადადებებს მისი გამოყენების შესახებ;

კ) აანალიზებს, განაზოგადებს და ავრცელებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის ტერიტორიულ ორგანოთა, სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

6. კომისიას უფლება ენიჭება:

ა) გადაიყვანოს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ცალკეული დარგების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ჯგუფები, ხოლო მთლიანად სამინისტროთა და უწყებათა გადაყვანის საკითხებზე მოამზადოს და შემოიტანოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში;

ბ) დაამტკიცოს ორგანიზაციულ-მეთოდიკური დოკუმენტები მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) შეაჩეროს მოქმედება და გააუქმოს საჭირო შემთხვევებში სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე, რომლებიც არ შეესაბამებიან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს და კომისიის გადაწყვეტილებებს. ასეთი აქტები უქმდება დადგენილი წესით;

დ) მოისმინოს თავის სხდომებზე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა ინფორმაციები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა მიმდინარეობისა და მათი განხორციელების შედეგების შესახებ;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისაგან საჭირო მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობასა და მისი განხორციელების შედეგებს;

ვ) ორგანიზაცია გაუწიოს და შეისწავლოს სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში საქართველოს სსრ მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის გადაწყვეტილებათა შესრულება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე და შედეგების შესახებ საჭიროების შემთხვევაში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ზ) შექმნას მეცნიერ მუშაკთა და სამინისტროების, უწყებების, საწარმოების სპეციალისტთა შემადგენლობით დროებითი შემოქმედებითი კოლექტივები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ცალკეულ პრობლემათა დასამუშავებლად.

თ) მიიზიდოს შესაბამის საკითხთა მოსამზადებლად და განსახილველად საბჭოთა ორგანოების, სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები;

ი) მიიღოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისაგან კომისიის მუშაობისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები.

7. კომისია ქმნის უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მასალების მომზადებას კომისიაზე განსახილველად.

8. კომისია თავისი შემადგენლობიდან და ცენტრალური ეკონომიკური უწყებების წარმომადგენელთაგან ქმნის ნაკრებ სამუშაო ჯგუფს 5-7 კაცის შემადგენლობით გადაწყვეტილებათა მისაღებად ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც არ მოითხოვენ კომისიაზე განხილვას და კომისიის სხდომებზე შესატან საკითხთა წინასწარ აპრობაციას.

9. კომისიასთან არსებობს სამეცნიერო სექცია, რომელიც უზრუნველყოფს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა მეცნიერულ დასაბუთებას, ატარებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე შემუშავებულ წინადადებათა ანალიზსა და ექსპერტიზას. სამეცნიერო სექციის რეკომენდაციებს ამ დარგში მეცნიერული კვლევის შედეგების შესახებ კომისია იყენებს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პრობლემებზე წინადადებათა მომზადებისას. სამეცნიერო სექციის მუშაობა ხორციელდება კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

10. კომისიის გადაწყვეტილებანი მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმა მისცა კომისიის წევრთა ნახევარმა მაინც. კომისიის წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეუძლიათ თავიანთი აზრი შეატყობინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

კომისიის გადაწყვეტილებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

11. კომისიის მუშაობა ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებათა გათვალისწინებით შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

კომისიის წევრები მონაწილეობენ მის სხდომებში შეცვლის უფლების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში იქმნება სპეციალური ქვეგანყოფილება.

კომისიის ტექნიკურ მომსახურებას (მასალების ბეჭდვა, გამრავლება, დაგზავნა, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი ორგტექნიკის დახმარებით) ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმეთა მმართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ლ. ცაგარელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის არჩილ ლუკას ძე ცაგარელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. დაწესდეს ა. ლ. ცაგარელის სახელობის ერთი სტიპენდია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტებისათვის.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

— თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოს ა. ლ. ცაგარელის სახელი;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს (პავლოვის ქ. № 43), სადაც ცხოვრობდა ა. ლ. ცაგარელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ივნისი, № 297

55 საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლისათვის დ. მ. იოსელიანის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შუამდგომლობა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლას მიეკუთვნოს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 20 ივნისი, № 309

56 „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 იანვრის № 72 დადგენილების (მე-2 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი) შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების 1-ლ პუნქტში სიტყვები: „ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები“.

2. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 დეკემბრის № 637 დადგენილებას შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი 4 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა დაზუსტებულ მონაცემებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო 4 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისას — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 27 ივნისი, № 321

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ

57

რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონების ახალი რუქის შედგენისას ხუდონჰესის მშენებლობის რაიონში გამოვლინდა მაღალი სეისმური ზონები, ამასთან მეცნიერ-სპეციალისტთა აზრით დიდწყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგური უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე.

ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონების, ქ. ჯვარის მოსახლეობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნის გათვალისწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა და შემუშავდეს საათანადო ღონისძიებანი მისი მშენებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის.

2. დაევალოთ საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“, ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტს“, საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენს“:

— მიმდინარე წელს შეასრულონ სალიკვიდაციო სამუშაოები შემუშავებული ნუსხის მიხედვით და მისი შესრულების ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;

— შეიმუშაონ მიმდინარე წლის ბოლომდე ობიექტის სრული ლიკვიდაციის (კონსერვაციის) პროექტი სამუშაოთა შესრულების ვადებისა და მათი მოცულობების განსაზღვრით.

3. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 ივნისი, № 330

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1989 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-89 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 966 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა